ჰოლოკოსტის სწავლება

მეორე ნაწილი

მოამზადა ნინო გვარამაძემ

რესურსის პირველ ნაწილში განხილული იყო ებრაელთა მდგომარეობა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ ნაცისტების ქმედებები ებრაელების მიმართ, მათი ყურადღება უნდა გამახვილდეს სტერეოტიპებსა და იდენტობაზე.

პირველ ნაწილში განხილული იყო მითები ებრაელთა შესახებ. მითების გავრცელება იწვევს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

სტერეოტიპი არის ზეტმეტად განზოგადებული რწმენა ხალხის გარკვეული კატეგორიის მიმართ.

მოსწავლეებს უნდა განემარტოთ, რომ ყველა ადამიანს აქვს გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენები. ადამიანებს უჭირთ ამის აღიარება, ვინაიდან ისინი ამას ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ. მთავარია, ადამიანები ეცადონ სტერეოტიპების მსხვრევას.

ქვემოთ მოყვანილი კითხვები გააააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას სტერეოტიპებზე:

1. რა არის სტერეოტიპი?
2. რომელი გავრცელებული სტერეოტიპების გახსენება შეგიძლიათ?
3. არსებობს თუ არა პოზიტიური სტერეოტიპები?
4. რა გავლენა შეუძლია მოახდინოს სტერეოტიპებმა?

პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და დაწერონ ფურცელზე (თავისთვის) ის სტერეოტიპები, რომლებიც მათ აქვთ.

ქვემოთ მოყვანილი აქტივობა მიმართულია მოსწავლეების მიერ საკუთარი იდენტობის კვლევაზე.

იდენტობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ცალკეული ადამიანების მიერ ამა თუ იმ კატეგორიასთან საკუთარი თავის გაიგივება.

ნაბიჯი 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ საკუთარ იდენტობაზე (შეუძლია მოუყვანოს მაგალითები: მოსწავლე, ბიჭი, გოგო, უყვარს სპორტი, უყვარს მუსიკა, მეგობარი და ა.შ.), დახატონ ადამიანი (საკუთარი თავი) და მიუწერონ თავიანთი იდენტობის ხუთი ძირითადი ასპექტი.

ნაბიჯი 2

გააზიარონ თავიანთი მოსაზრებები ოთხკაციან ჯგუფებში.

ნაბიჯი 3

მასწავლებელი სთხოვს 4-5 მოხალისეს, გაუზიარონ კლასს თავიანთი მოსაზრებები. მასწავლებელი წერს დაფაზე ზოგად მახასიათებლებს (სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, ინტერესები, პიროვნული თვისებები, ჰობი და სხვა).

ნაბიჯი 4

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- იდენტობა მდგრადია თუ შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში?
- ჩვენ თვითონ განვსაზღვრავთ ჩვენს იდენტობას თუ სხვა გვირჩევს მას?

ნაბიჯი 5

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადახედონ თავიანთ სიას და დანომრონ ჩამოთვლილი იდენტობები მნიშვნელობის მიხედვით.

ბოლოს მასწავლებელი სვამს კითხვას:

- ვის აქვს უფლება, არასწორად მიიჩნიოს თქვენი რომელიმე იდენტობა?
- რას იგრძნობთ, ასე რომ მოხდეს?

როგორ განვითარდა მოვლენები? ვინ იღებდა მონაწილეობას ჰოლოკოსტში?

ქვემოთ მოყვანილი აქტივობა გააცნობს მოსწავლეებს ებრაელების მდგომარეობას გერმანიაში 1939-1945 წლებში. აქტივობის მიზანია, აგრეთვე, მოსწავლეებმა დაინახონ სხვა ქვეყნების პოზიცია და მათი გავლენა ჰოლოკოსტის შედეგებზე. დავალება სრულდება ჯგუფებად. მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად.

დავალება პირველი ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- რას ითხოვდა ნიურნბერგის კანონები?
- ხდებოდა თუ არა ებრაელთა იდენტობის უგულებელყოფა? (**შენიშვნა** მასწავლებლისთვის: ყველა იდენტობა ერთ ასპექტზე დაიყვანეს და მათში მხოლოდ ებრაელი ამოიცნეს);
- თქვენი აზრით, რა მოხდებოდა, სხვა სახელმწიფოებს მარტივად რომ მიეღოთ გერმანიიდან დევნილი ებრაელები?

ებრაელების მდგომარეობა გერმანიაში 1933-1939 წწ.

ჰიტლერისა და ნაცისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 1933 წელს, გაძლიერდა ებრაელების მიმართ დისკრიმინაცია და ძალადობა.

1935 წელს მიიღეს ახალი კანონები - ნიურნბერგის კანონები. ებრაელებს აღარ აძლევდნენ უფლებას, ყოფილიყვნენ გერმანელები; აღარ შეეძლოთ არაებრაელებზე დაქორწინება; მათ

პასპორტში „J“ იყო მონიშნული; მათ უნდა ეტარებინათ ტანსაცმელზე მიმაგრებული დავითის ვარსკვლავი და უნდა ეცხოვრათ ცალკეულ რაიონებში. ებრაელები სულ უფრო იზოლირებულნი ხდებოდნენ დანარჩენი მოსახლეობისგან.

მიუხედავად შეუნიღბავი დისკრიმინაციული პოლიტიკისა, ებრაელების მიმართ გენოციდი არ დაწყებულა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. ნაცისტები თავიდან ცდილობდნენ, ებრაელები ქვეყნიდან გაეძევებინათ, მაგრამ მათ წასასვლელი არსად ჰქონდათ. ევროპელი ებრაელებისათვის, ჰაიმ ვეიცმანის (ისრაელის I პრეზიდენტი) ცნობილი გამონათქვამით, „მსოფლიო გაიყო ორად: ადგილად, სადაც მათ არ შეეძლოთ ცხოვრება და ადგილად, სადაც არ შეეძლოთ მოხვედრა.“ დევნილებს ზურგი შეაქციეს სხვა ქვეყნებმა. 1938 წლის ივლისში, აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მიერ ევიანში (საფრანგეთი) მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია დევნილების შესახებ, დასრულდა სრული მარცხით. დომინიკანური რესპუბლიკის გარდა, 32 მონაწილე ქვეყნიდან არცერთმა არ მისცა მცირეოდენი შანსიც კი გერმანიიდან და ავსტრიიდან დევნილ ებრაელებს. ამასთან, დიდი ბრიტანეთი ზღუდავდა ემიგრანტების შედინებას მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პალესტინაში.

ანტისემიტურმა ისტერიამ გერმანია მიიყვანა ებრაელთა სინაგოგებისა და მაღაზიების მასობრივ გაჩანაგებამდე (1938 წლის 9-10 ნოემბრის ღამე), რაც ისტორიაში შევიდა, როგორც „ბროლის ღამე“ (მინის ნამსხვრევების გამო, რომლებითაც მოფენილი იყო გერმანული ქალაქები).

1933-1939 წლებში გერმანიიდან და ავსტრიიდან 330 ათასი ებრაელი გაიქცა. დაახლოებით 110 ათასი ებრაელი დევნილი გერმანიიდან და ავსტრიიდან მეზობელ ქვეყნებში გადავიდა, მაგრამ ისინი იქაც იდევნებოდნენ ომის პერიოდში.

დავალება მეორე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს:
- ჩამოთვალეთ ყველა ის აკრძალვა, რომელსაც უწესებდა ებრაელებს ანტისემიტური კანონები?
- იდენტობის ენაზე როგორ ახსნიდით ამ კანონებს? (**შენიშვნა** მასწავლებლისთვის: კანონები უკეტავდა ებრაელებს იდენტობის წყაროებს);
- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჰოლოკოსტის შედეგებზე მხოლოდ გერმანელები იყვნენ პასუხისმგებელნი?
- რა მოხდებოდა, აღნიშულ ქვეყნებს რომ არ მიეღოთ ანტისემიტური კანონები?

ანტისემიტური კანონები

1938-1940 წლებში რამდენიმე ქვეყანამ მიიღო ანტისემიტური კანონები, ძირითადად, ნაცისტური გერმანიის გავლენით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

იტალია: მუსოლინის მმართველობის პერიოდში, 1938 წელს, იტალიამ მიიღო ანტისემიტური კანონები, რომლებიც მოიცავდა ებრაელებისთვის სწავლების აკრძალვას, ბიზნესის ფლობას და არაებრაელებზე დაქორწინებას.

უნგრეთი: უნგრეთმა 1938 წლიდან მიიღო ანტისემიტური კანონების სერია, რომელიც ზღუდავდა ებრაელთა მონაწილეობას ეკონომიკასა და პროფესიებში.

რუმინეთი: რუმინეთმა 1930-იანი წლების ბოლოს და 1940-იანი წლების დასაწყისში შემოიღო ანტისემიტური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა ებრაელებისთვის მოქალაქეობისა და ქონების ჩამორთმევას.

საფრანგეთი: ვიშის რეჟიმის პირობებში, 1940 წელს საფრანგეთმა მიიღო ანტისემიტური კანონები, რომლებიც გამორიცხავდა ებრაელებს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და იწვევდა მათ დეპორტაციას.

ეს კანონები წარმოადგენდა ებრაელების დევნისა და გარიყვის უფრო ფართო კამპანიის ნაწილს, რომელიც ჰოლოკოსტით დასრულდა.

დავალება მესამე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- ვინ მონაწილეობდა ებრაელთა მკვლელობებში?
- რა ამოძრავებდათ კოლაბორაციონისტებს?
- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მხოლოდ გერმანელები არიან პასუხისმგებელნი ჰოლოკოსტის შედეგებზე?

გერმანიის ანტიებრაული პოლიტიკა 1939-1941 წლებში.

1939 წლის დასაწყისში ჰიტლერმა „4 წლიანი გეგმის შემსრულებელს“, გერმან გერინგს, დაავალა მოემზადებინა ებრაელების გერმანიიდან განდევნის გეგმა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის საკმაოდ გაიზარდა ებრაელთა რაოდენობა (გერმანიისთვის პოლონეთის მიერთების შემდეგ), ამასთანავე, გართულდა ლეგალური ემიგრაცია.

1940 წელს და 1941 წლის დასაწყისში ნაცისტები ამუშავებდნენ რამდენიმე ვარიანტს ებრაული საკითხის გადასაწყვეტად: საბჭოთა კავშირს სთავაზობდნენ მიეღო რეიხის ებრაელები; ასევე, გეგმა „მადაგასკარი“ (ყველა ებრაელის აფრიკის ამ კუნძულზე გადასახლება) და „ლიუბლინი“. არცერთი ამ პროექტთაგან არ შესრულებულა.

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ნაცისტურმა გერმანიამ შეუტია და დაიპყრო ევროპის დიდი ნაწილი. ომის დაწყებასთან ერთად გაძლიერდა ანტისემიტიზმი. ებრაელთა დევნა და გარიყვა - გერმანიის მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა 1933 წლიდან - უფრო გამკაცრდა და დომინირებდა ყველა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

1941 წელს გერმანიამ დაიწყო ომი საბჭოთა კავშირთან. ომის დროს მასობრივი ხასიათი მიიღო ებრაელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტამ. ნაცისტებმა დაიწყეს პროცესი, რომელსაც მათ უწოდეს "ებრაული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა". ექვს თვეზე ნაკლებ დროში შვიდასი ათასი ებრაელი მოკლეს ე.წ. Einsatzgruppen-მა და ადგილობრივმა კოლაბორაციონისტებმა[1]. ებრაელები გაიყვანეს

[1] კოლაბორაციონისტი - სამშობლოს გამყიდველი; პირი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თანამშრომლობდა ფაშისტ დამპყრობლებთან, მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში;

ქალაქებიდან და სოფლებიდან და დახვრიტეს მეზობელ ტყეებში, ებრაულ სასაფლაოებზე და სხვა ადგილებში. ორი დღის განმავლობაში, ბაბი იარის ხოცვა-ჟლეტისას, 33771 უკრაინელი ებრაელი მოკლეს.

დავალება მეოთხე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- რა გსმენიათ განადგურების ბანაკებზე?
- რა იცით იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ებრაელებს ეხმარებოდნენ?

განადგურების ბანაკები

1942 წელს ნაცისტური გერმანიის მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლები შეიკრიბნენ ვაზენში, ბერლინთან ახლოს და განიხილეს დეტალები, თუ როგორ უნდა მოესპოთ ყველა ებრაელი ევროპაში, სიკვდილის ბანაკებში. დაიწყო დეპორტაციები. ებრაელებით სავსე მატარებლები ყველა ოკუპირებული ქვეყნიდან მიდიოდა სიკვდილის სხვადასხვა ბანაკში.

*ომის დასრულებამდე ექვსი მილიონი ებრაელი მამაკაცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა. ეს უპრეცედენტო მასობრივი მკვლელობა ცნობილია **ჰოლოკოსტის სახელით**, რაც ნიშნავს **მსხვერპლს**. ამ ტრაგედიის აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვაა **შოა**, რომელიც ივრითზე სრულ განადგურებას ნიშნავს.*

ბანაკებსა და გეტოებში დაიწყო აჯანყებები; ყველაზე ცნობილია ვარშავის გეტოს აჯანყება 1943 წლის იანვარში. ყველაზე აქტიური წინააღმდეგობის ცენტრი იყო მინსკის გეტო.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელების ბედი განსაზღვრული იყო. როგორც წესი, ადგილობრივი მცხოვრებლების მხარდაჭერას მოკლებულებს, არ ჰქონდათ გეტოს გარეთ გადარჩენის შანსი. შოაში გადარჩენილი ებრაელები არიან ის მცირედი ნაწილი, რომელიც ტყეში პარტიზანებად გასულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადამალეს (არაებრაელებმა, „მსოფლიო წმინდანებად“ წოდებულებმა, გადაარჩინეს სიკვდილს ათობით ათასი ებრაელი). ბელორუსიაში პარტიზანულ მოძრაობაში 30 ათასი ებრაელი ირიცხებოდა.

ნამუშევრების პრეზენტაციისას მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მსჯელობა.

აქტივობის შეჯამებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ გერმანიის გარდა, სხვა ქვეყნებზე და ცალკეულ კოლაბორაციონისტებზეც ვრცელდება პასუხისმგებლობა ჰოლოკოსტის შედეგების გამო. გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ დღეს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ანტისემიტური და სხვა დისკრიმინაციული კანონების მიღება აკრძალულია.